საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომის

ოქმი #47

2021 წელი 5 მარტი 12 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ნ.რუხაძე, ო.გრიგოლია,
ი. ჯიშკარიანი, ა.ხუჯაძე,
ქ.ჯოხაძე, ლ.დარახველიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტეის საკრებულოს ქონების მართვის და სფინანსო-საბიუჯეტო, ადამიანის უფლებათა დაცვის და იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. .,,დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

- ,,დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით შპს ,,ოპტიმას“ მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
- . ,,ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, , აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, მარიჯანის ქუჩა N2 კოსმონავტების ქ N 45-47-49, ბოხუას ქ. N10, არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და შპს ,,ეპიკ ისანის“ მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქუჩა N48 ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
- 3 ,,ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, , მარიჯანის ქუჩა N2, კოსმონავტების ქ N 45-47-49, ბოხუას ქ. N10, არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და შპს „პილარ ჯგუფი - კრწანისის“ მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, კრწანისის I ჩიხი, N 2ბ არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მოისმინეს:

კომისიამ განიხილა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 3 მარტის N12-03210604-03 წერილით ინიცირებული “დაუმთავრებელი მშენებლობების

დასრულების მიზნით დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სამი კომპანისს მიმართ: შპს ,,ოპტიმა", შპს ,,ეპიკ ისანი" და შპს „პილარ ჯგუფი - კრწანისის" და მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი სამართლებრივად გამართულია შემდეგ გარემოებათ გამო:

დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების სახით შესაძლებელია, განხორციელდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, ასევე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისაგან (შენობა-ნაგებობათა მაქსიმალური სიმაღლე, ფუნქციური ზონა და მისი რეგლამენტი, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით/განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული მოთხოვნები, სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციები, მიჯნის ზონისა და შენობა-ნაგებობის განთავსების წესის, ავტოსადგომების რაოდენობისა და სხვა) განსხვავებული პირობებით ქალაქთმშენებლობითი და სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცება ან მათში ცვლილების შეტანა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ იხელმძღვანელა საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტით, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებით'' და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე